

საქართველოს კულტურის სტრატეგია
სამუშაო შეხვედრა ქვემო ქართლის რეგიონში

რუსთავი, 2015 წლის 7 მარტი

სესია

შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები

მოდერატორი : მაკა დვალაიშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

ასისტენტი : თამუნა კვიციანი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

მონაწილეები :

ეთერ ულენტი, ა.ა.ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

სოსო კოპალაიშვილი, ტრადიციული მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ბოლნისი

კობა ულენტი, ბოლნისის კულტურის სამსახურის უფროსი

მადონა საყვარელიძე, ბოლნისის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ნინო ხუმარაშვილი, ბოლნისის კულტურის სამსახურის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სპეციალისტი

ნინო დანელია, ბოლნისის კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის სამსახურის კულტურის საკითხებში

მთავარი სპეციალისტი

ტარიელ გოდერძიშვილი, შემოქმედი, სოლისტი-ვოკალისტი (კახეთი)

თორნიკე ადამაშვილი, ბოლნისის ა.ა.ი.პ. ორგანიზაციის მენეჯერი (გამგეობის თავმჯდომარე)

თამარ ჭონიშვილი, გარდაბნის კულტურის განყოფილების უფროსი

ნინო დვალაიშვილი, ბოლნისის კულტურის ცენტრის თანამშრომელი

ბესარიონ ფალავა, მარნეულის კულტურის ცენტრის დირექტორი

ცისია ბერიკაშვილი, მარნეულის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი

ქეთევან აბაშიძე, სამსახიობო ოსტატობის პედაგოგი მარნეულში

ნატო შავიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის "კულტურის ცენტრი"-ს დირექტორის მოადგილე

ირაკლი ნოზაძე, მსახიობი (მარნეული)

ზურა ხაფთანი, ღონისძიებების ორგანიზატორი, მარნეული

ნინო ნარიშკინი, გარდაბნის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

თამარ მაისურაძე, გარდაბნის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ლეილა ბენდელიანი, ა.ა.ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი

დისკუსიის მანძილზე, სამუშაო ჯგუფმა ქვემო ქართლის სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორებიდან, ისაუბრა საშემსრულებლო და თანამედროვე ხელოვნების სფეროებში რეგიონის მასშტაბით არსებულ პრობლემებზე, მათგან გამოყო ის საერთო, ძირითადი საკითხები, რომლებიც კულტურის პოლიტიკის დოკუმენტში უნდა შევიდეს. შეხვედრისას ხაზი გაესვა კულტურის, როგორც

ეკონომიკური განვითარების პოტენციალის როლსა და მნიშვნელობას და იმ დარგებს, რომლებიც რეგიონში განსაკუთრებული პოტენციალით გამოირჩევა (ფოლკლორი, ქორეოგრაფიული ანსამბლები, ტრადიციული რენვა, სახვითი ხელოვნება). კულტურის სფეროში რეგიონის უმთავრეს პრობლემებად გამოიკვეთა მოშლილი ან არარსებული ინფრასტრუქტურა, მოძველებული ან ამორტიზირებული ტექნიკური ბაზა, ფონდების სიმწირე, საკანონმდებლო ბარიერები, სფეროს პროფესიონალების დაბალი რიცხოვნობა და ხარისხობრივი მაჩვენებელი, ხელოვანთა წახალისების ინსტრუმენტების ნაკლებობა/არარსებობა.

შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების პრობლემები ქვემო ქართლის რეგიონში:

ძირითადი პრობლემები :

- საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე კულტურის მნიშვნელობის შესახებ
- მოძველებული საკანონმდებლო ბაზა
- მოშლილი კომუნიკაცია რეგიონებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის

ძირითადი პრობლემებისაგან გამონჯული შედეგები :

- ადმინისტრაციული ინსტრუმენტების ნაკლებობა კულტურის დარგის პოტენციალის განსავითარებლად
- გაუმართავი და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა
- მოძველებული საკანონმდებლო ბაზა
- ფონდების და დაფინანსების წყაროების სიმწირე / ბიზნესსა და ხელოვნებას შორის განყვეტილი/არარსებული კავშირი
- ცნობიერების დაბალი დონე კულტურის მნიშვნელობის შესახებ, როგორც ადმინისტრაციულ, ისე „სამომხმარებლო“ დონეზე
- კულტურის სფეროს პროფესიონალების წახალისების მექანიზმების სიმწირე
- პროფესიული განათლების დაბალი დონე და გაუმართავი სისტემა; კადრების გადამზადებისა და კულტურის პროფესიონალთა დასაქმების სისტემის არარსებობა / კადრების გადინების პრობლემა
- კულტურის სახლების იურიდიული სტატუსის განსაზღვრის საჭიროება
- კულტურის პოპულარიზაციისათვის საჭირო მეთოდოლოგიის შემუშავება
- ზომების მიღების საჭიროება კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნებისათვის (ეთნიკური უმცირესობების კულტურის დაცვის საკითხი)
- მოშლილი კომუნიკაცია რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის
- ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად (ვიზიტორთა ცენტრების განვითარების საჭიროება)
- საავტორო უფლებების რღვევა და პირატული ფილმების საკითხები
- უცხოეთთან კავშირების გაფართოების საკითხები
- რეგიონისადმი ნაკლები ინტერესი მედიაში

რეკომენდაციები

ინფრასტრუქტურა

- სახელმწიფო მიდგომის შემუშავება რეგიონების განვითარებისთვის
- კულტურის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (შენობები არსებობს, მაგრამ გაუმართავია)
- წახალისების ინსტრუმენტების შემუშავება (სპორტში არის, ხელოვნებაში არ არის)
- დაფინანსების მოძიების, მენეჯმენტის სტრუქტურების აწყობა
- ტურიზმის და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება
- საინფორმაციო, ვიზიტორთა ცენტრების განვითარება
- ტურისტული სავაჭრო ცენტრების (სუვენირების მაღაზიების, არტსალონების) შექმნა
- მექანიზმების შემუშავება მუზეუმების რესურსების სათანადო გამოყენებისათვის

კანონმდებლობა

- კანონმდებლობის განახლება დეცენტრალიზაციის გათვალისწინებით
- კულტურის სფეროს პრიორიტეტად აღიარება, განსაკუთრებით მისი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინება
- საკანონმდებლო შეღავათების შემოღება მცირე ბიზნესის წახალისების მიზნით
- კულტურის სახლების და ცენტრების სტატუსის და იურიდიული საკითხების განსაზღვრა, დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება
- დამოუკიდებლობის გაზრდა ს.ს.ი.პ-ის და არსებული ა.ა.ი.პ-ისთვის
- საავტორო უფლებების და პირატული პროდუქციის წარმოებისა და გავრცელების დარეგულირება
- სპეციალური პროექტების განხორციელებისას მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის გამარტივება (მაგ. ქუჩის არტი)

ცნობიერების ამაღლება

- კულტურის სფეროს პრიორიტეტულობის შესახებ ცნობიერების ამაღლება
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება კულტურული ღირებულებების და განსაკუთრებით მისი ეკონომიკური პოტენციალის შესახებ.
- კულტურული ინდუსტრიების შესაძლებლობებზე ინფორმირება
- PR და მედიის ჩართულობა
-

სპეციალური პროგრამები (სპეციალური პროგრამების არარსებობა)

- მოხალისეობის ინსტიტუტის/კულტურის დანერგვა
- წახალისების ინსტრუმენტების შემუშავება

ფინანსები, კულტურა და ბიზნესი

- რეგიონებში საერთაშორისო დონორების და პროგრამების მოზიდვა სახელმწიფოს ხელშეწყობით
- კერძო სექტორთან საკანონმდებლო დონეზე თანამშრომლობა, დაფინანსების ადგილობრივი პრიორიტეტის თავალსაზრისით
- ბიზნესის და კულტურის ურთიერთობა
- მცირე ბიზნესის წახალისება
- კულტურულ ინდუსტრიების შესაძლებლობებზე ინფორმირება და ეკონომიკური პოტენციალის წამოწევა
- ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტურიზმის განვითარება და მისი კავშირი კულტურასთან
- ადგილობრივი მომხმარებლის და ბაზრის განვითარება
- ხარისხის განვითარება
- ადგილობრივი მომხმარებლის შექმნა

ქსელური კავშირები

- კავშირი ადგილობრივ თვითმმართველობასა და კერძო და არასამთავრობო სექტორებს შორის
- რეგიონალური ქსელების და რეგიონთაშორისი კავშირების გაძლიერება

ეთნიკური უმცირესობების კულტურის განვითარების პრობლემების გადაწყვეტა

განათლება

- პროფესიული განათლების სრულყოფა, დასაქმებისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავება
- არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობების გაზრდა (ტრენინგები, გადამზადება, ა.შ.)
- კადრების გადამზადება
- მენეჯმენტის სწავლება
- დაფინანსების მოძიების, პროექტების წერის და სხვა უნარების სწავლება
- სტუდენტებისთვის სტაჟირების მოწყობა; კავშირი საგანმანათლებლო დაწესებულებასა და რეგიონებს შორის

კვლევების განვითარება

- არსებულ კვლევებზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმების შემუშავება
- განახლებული ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება შესაბამისი სამინისტროებისა და სააგენტოების მიერ (ინფრასტრუქტურა, ტურიზმი).